

შპს "ვებიზ ფლეი"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
და
დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

შპს "გეზიზ ფლეი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია 9

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები 12

4 ძირითადი საშუალებები 13

5 გაცემული სესხები 13

6 სავაჭრო დებიტორული დავალიანება 13

7 ფული და ფულის ეკვივალენტები 14

8 სახელფასო ვალდებულებები 14

9 შემოსავალი 14

10 სახელფასო ხარჯი 15

11 საოპერაციო ხარჯი 15

12 წმინდა (მოგება)/ზარალი მონეტარული აქტივების გადაფასებიდან 15

13 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები 16

14 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 16

15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 16

ანგარიშგების ბოლო გვერდი 16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ვებიზ ფლეის“ მფლობელებს და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ვებიზ ფლეის“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ასევე, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება, კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული არღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიამე/სერთიფიცირებული აუდიტორი/პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 1 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო



შპს "გებიზ ფლეი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	226,227	-
გაცემული სესხები	5	592,478	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		818,705	-
მოკლევადიანი აქტივები			
დებიტორული დავალიანება	6	872,159	-
საგადასახადო აქტივი		13,085	-
ფული და ფულის ექვივალენტები	7	616,286	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,501,530	-
სულ აქტივები		2,320,235	-
კაპიტალი			
კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება		1,117,396	-
სულ კაპიტალი		1,117,396	-
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		24,386	-
სახელფასო ვალდებულებები	8	1,178,453	-
სულ ვალდებულებები		1,202,839	-
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,320,235	-

გიორგი წერეთელი

დირექტორი



შპს "გებიზ ფლეი"

თარიღი: 1 ოქტომბერი 2025

შპს "გეზიზ ფლეი"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	9	21,464,260	-
სახელფასო ხარჯები	10	(19,609,316)	-
საოპერაციო ხარჯები	11	(622,293)	-
საოპერაციო მოგება		1,232,651	-
ფინანსური შემოსავალი		55,478	-
ფინანსური ხარჯი		(21,903)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი მონეტარული აქტივების გადაფასებიდან	12	(148,830)	-
მოგება დაბეგვრამდე		1,117,396	-
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		1,117,396	-
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,117,396	-

გიორგი წერეთელი
დირექტორი

შპს "გეზიზ ფლეი"

თარიღი: 1 ოქტომბერი 2025

შპს "გეზიზ ფლეი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-23	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა, წმინდა	-	-	-
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
წლის სრული სპემოსავალი	-	1,117,396	1,117,396
31-დეკ-24	-	1,117,396	1,117,396

გიორგი წერეთელი
დირექტორი

შპს "გეზიზ ფლეი"

თარიღი: 1 ოქტომბერი 2025

შპს "კეპიზ ფლეი"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,117,396	-
კორექტირებები			
ცვეთის ხარჯი	4	18,371	-
ფინანსური ხარჯი		21,903	-
ფინანსური შემოსავალი		(55,478)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი მონეტარული აქტივების გადაფასებიდან	12	148,830	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი საშუალებების ცვლილებამდე		1,251,022	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანების ზრდა	6	(872,159)	-
საგადასახადო ნაშთის ზრდა		(13,085)	-
სახელფასო დავალიანების ზრდა	8	1,178,453	-
კრედიტორული დავალიანების ზრდა		24,386	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები გადასახადების და პროცენტების გადახდამდე		1,568,617	-
მიღებული პროცენტი		52,142	-
გადახდილი პროცენტი		(18,658)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,602,101	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირით. დი. საშუალებების შეძენა	4	(244,598)	-
გაცემული სესხების (ზრდა)/შემცირება	5	(592,478)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(837,076)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების ზრდა/(შემცირება)		316,163	-
მიღებული სესხების დაფარვა		(316,163)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადი		-	-
ფული და ფულის აკვივალენტების წმინდა ზრდა		765,025	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	7	-	-
საკურსო სხვაობის გავლენა ფულსა და ფულად ექვივალენტებზე		(148,739)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	7	616,286	-

გიორგი წერეთელი
 დირექტორი

შპს "კეპიზ ფლეი"

თარიღი: 1 ოქტომბერი 2025



1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს "ვებიზ ფლეი" (შემდგომში კომპანია, ს.ნ. 405270549) დაფუძნდა 2018 წელს. კომპანიამ აქტიური საქმიანობა დაიწყო 2024 წლის მარტში. ამჟამად ფუნქციონირებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მისი ძირითადი საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის სერვისების მიწოდება კლიენტთა კომპანიებისთვის. კომპანიის მომსახურება მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, შემდგომ ტექნიკურ მხარდაჭერას, პროგრამული სისტემების მორგებასა და განვითარებას, ასევე დაკავშირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების გაწევას. დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, 19ა.

კომპანიის ოპერაციები ორიენტირებულია საერთაშორისო ბაზარზე. შპს "ვებიზ ფლეი" სარგებლობს საერთაშორისო კომპანიის სტატუსით და შესაბამისი საგადასახდო შეღავათებით.

კომპანია აღრიცხავს საერთაშორისო სტატუსის მქონე კომპანიებისთვის ნებადართულ საგადასახდო შეღავათებს საქართველოს საგადასახდო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის №619 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული შეღავათები გაიცემა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ნებადართულ საქმიანობას, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და სერვისებს უზრუნველყოფენ უცხოურ კლიენტებზე.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს "Webiz Systems LTD" (ს.ნ. 514732544), რომელიც რეგისტრირებულია ისრაელში. შპს "Webiz Systems LTD"-ის 100%-იანი წილის მფლობელია ეილ ბარ ოზ.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავენ დირექტორები - გიორგი წერეთელი და ეილ ბარ ოზ.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მიხედვით. ინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან შეფასების გაკეთებას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოითხოვს უფრო მაღალ შეფასებას ან სირთულეს, ან სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია შენიშვნებში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ანგარიშგების მომზადებისას იყენებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა.

მენეჯმენტის შეფასებით კომპანია ფუნქციონირებს უწყვეტი საქმიანობის პრინციპით, ამასთან, ამ მიმართულებით არსებით გაურკვევლობას ადგილი არ აქვს, ამიტომ ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე.

2 მნიშვნელოვანი საარტიკულო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**2.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს მიიღოს ყველა თანხა დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების მიხედვით.

2.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის შექმნა ეფუძნება კომპანიის შეფასებებს მომხმარებელთა კონკრეტული ანგარიშგების ამოღებადობაზე. თუ ადგილი აქვს ძირითადი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესებას ან გადახდისუნარიანობა შეფასებულზე მაღალია, მაშინ რეალური დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავდებოდეს მოცემული შეფასებისგან. თუკი კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმის შესახებ, რომ გაუფასურება მოხდა ინდივიდუალურად შეფასებულ დებიტორულ დავალიანებაზე, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი მოიცავს დებიტორულ ანგარიშს დებიტორულ დავალიანებათა ჯგუფში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებთან ერთად და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას.

ანგარიშგების გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნით, ანგარიშები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები შესაბამისია ასეთი აქტივების ჯგუფებისათვის მომავალი ფულადი ნაკადების შესაფასებლად, რაც მოუთხოვს მოვალეთა უნაზე გადახდას ყველა გადასახდელი თანხა შეფასებული აქტივების სახელმწიფო პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად შესაფასებელია, როგორც არაგაუფასურებული, ერთობლივად ფასდება, როგორც გაუფასურებული კომპანიის ისტორიული გამოცდილების შესაბამისად, მსგავსი ვადაგადაცდილებული მოთხოვნებისათვის.

2.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ზარავები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ზარავებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ზარავის აღიარება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ზარავებთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოიწერა. სხვა დანაზარავები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ზარავი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ზარავი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ნაშთის შემცირების მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	20%
კომპიუტერული ტექნიკა	20%

2.6 არაფინანსური აქტივების გაუფასურება**განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებები**

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანაზარავებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.7 არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

2.8 კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები სააქციო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

2.9 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი, ერთი ევრო 2.9753 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ის ბალანსში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.10 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი მიმდინარე საგადასახადო მოდელი ("ესტონური კორპორაციული დაბეგვრის მოდელი")ითვალისწინებს ნულოვან მოგების გადასახადის განაკვეთს გუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. ვინაიდან კომპანიას გააჩნია საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, მოგების გადასახადის გამოთვლა და გადახდა ხორციელდება განსხვავებული წესით, სხვა კომპანიებთან შედარებით და მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 5%-ს დივიდენდების განაწილებისას, და არ იხდის საშემოსავლო გადასახადს დივიდენდის განაწილების დროს. შედეგად, კომპანიები იხდიან მოგების გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდის სახით) და ინდივიდუალურ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არახელსაყრელი ტრანსაქციები დაკავშირებულ მხარეებთან. წვეულებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

2.11 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდამოხმები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდამოხმობებითა და სხვა მსგავსი შეღავათებით.

კომპანიის ძირითადი შემოსავალი წარმოიშობა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დაკავშირებული ტექნოლოგიური სერვისებიდან. მომსახურება ძირითადად მიეწოდება უცხოურ კომპანიებს

ასეთ მომსახურებაზე მიღებული შემოსავლები აღირიცხება მაშინ, როცა მომსახურების სპეციფიკაციის მიხედვით, რომელიც შეთანხმებულია კლიენტთან, სამუშაოები შესრულებულია და მხარეები არ აცხადებენ პრეტენზიას წარდგენილი აღრიცხვის ინფორმაციის მიხედვით შედგენილ დოკუმენტზე, იმ პირობით, რომ შემოსავლის ოდენობა და შესაბამისი ხარჯები გაზომვადია და ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი სავარაუდოდ შემოედინება კომპანიაში.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.12 შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას არ აქვს რეალიზებულ საქონელზე/ გაწეულ მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული ღირებულებები და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

2.13 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის მის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.2 საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

მენეჯმენტმა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

4 ძირითადი საშუალებები

ბალანსი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	71,434	173,164	244,598
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	71,434	173,164	244,598
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			
ცვეთის დარიცხვა	-	-	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	8,073	10,298	18,371
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,073	10,298	18,371
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	63,361	162,866	226,227

5 გაცემული სესხები

2024 წელს კომპანიამ გასცა 592,478 ლარის სესხი შპს "ვებიზ ინთერნეიშენლზე", 10 წლიანი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის საშუალო საპროცენტო განაკვეთი ანგარიშგების პერიოდში შეადგენდა 8.59%-ს. კომპანიამ მიიღო წლიური საპროცენტო შემოსავალი 55,478 ლარის ოდენობით.

6 სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-24
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	811,360
სხვა დებიტორული დავალიანება	60,799
სულ	872,159

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-24
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,005
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	609,281
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	616,286

ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა.

8 სახელფასო ვალდებულებები

სახელფასო ვალდებულებები წარმოადგენს თანამშრომლებისთვის გადასახდელ ანაზღაურებას 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით

9 შემოსავალი

კომპანიის ძირითადი შემოსავალი წარმოიშვება ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დაკავშირებული ტექნოლოგიური სერვისებიდან. მომსახურება ძირითადად მიეწოდება უცხოურ კომპანიებს

	2024
შემოსავალი მომსახურებიდან	21,451,276
სხვა შემოსავალი	12,984
სულ შემოსავალი	21,464,260

10 სახელფასო ხარჯი

კომპანიას 2024 წლის მდგომარეობით აქვს 19,609,316 ლარის ოდენობის სახელფასო ხარჯი. აქედან მენეჯმენტის ანაზღაურება იყო 655,850 ლარი

11 საოპერაციო ხარჯი

	2024
იჯარის ხარჯი	212,011
საოფისე მარაგები და კომუნალური ხარჯი	205,470
გუნდური აქტივობების და გასართობი ღონისძიებების ხარჯი	58,310
მივლინების ხარჯი	44,035
მიღებული მომსახურების საფასური	30,039
წარმომადგენლობითი ხარჯი	18,468
ცვეთის ხარჯი	18,371
მარკეტინგული ხარჯი	7,438
სხვა ხარჯები	28,151
სულ საოპერაციო ხარჯი	622,293

12 წმინდა (მოგება)/ზარალი მონეტარული აქტივების გადაფასებიდან

	კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	2024
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	272,730	123,991 (148,739)
მიღებული სესხები	-	73,164	71,088 (2,076)
საეაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	5,455	8,690 3,235
საეაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	56	6,301 6,245
მიღებული სესხები	-	7,495	- (7,495)
საგაუტო ზარალი/(მოგება), წმინდა			(148,830)

13 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

კომპანია არ ფლობს არსებით პირობით ვალდებულებებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

14 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებზე მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2024 წლებისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2024
მიღებული პროცენტი	3,075
გაცემული პროცენტი	2,620
კომპანიის ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2024
გაცემული სესხი	592,478

2024 წელს მენეჯმენტის ხელფასმა შეადგინა 655,850 ლარი.

15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

პერიოდის შემდგომ კომპანიამ სრულად მიიღო გაცემული სესხები.

I. ზოგადი მიმოხილვა, შედეგები და განვითარების სტრატეგია

1.1 კომპანიის ზოგადი აღწერა

შპს „ვებიზ ფლეი“ (ს/ნ 405270549) წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებულ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მაღალი ხარისხის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და აუტოსორსინგის მომსახურების გაწევას. კომპანია სპეციალიზებულია საერთაშორისო კლიენტებისთვის, განსაკუთრებით ისრაელიდან, პროფესიონალური განვითარების გუნდებისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიწოდებაში.

2024 წლის მდგომარეობით, ვებიზ ფლეი-მ დაიმკვიდრა თავი როგორც სანდო პარტნიორმა გლობალურ აუტოსორსინგის ბაზარზე, რაც გამოიხატება კლიენტებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის, პროექტების ეფექტური მართვისა და მასშტაბირებადი რესურსების უზრუნველყოფით.

1.2 შესრულებული საქმიანობის შეფასება

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ შეინარჩუნა სტაბილური შემოსავლები. ძირითადი ხარჯები დაკავშირებული იყო თანამშრომელთა ანაზღაურებასთან, პროფესიულ განვითარებასთან და საოფისე ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფასთან. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური შედეგები შეესაბამება კომპანიის სტრატეგიულ მიზნებს და განვითარების გეგმებს.

1.3 ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ვებიზ ფლეის ოპერაციული ეფექტიანობა შეფასებულია შემოსავალი-ხარჯების თანაფარდობითა და ხარჯების ოპტიმიზაციის მექანიზმებით. კომპანიისთვის მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებელია კლიენტების კმაყოფილება და მათი შენარჩუნების დონე.

1.4 სამომავლო გეგმები

კომპანია გეგმავს აუტოსორსინგის მომსახურების გაფართოებას, შიდა პროცესების ოპტიმიზაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. 2025 წლისთვის მიზნად ისახება კლიენტთა ბაზის გაფართოება, დისტანციური და ჰიბრიდული სამუშაო მოდელების მხარდაჭერა და ინოვაციური გადაწყვეტილებების განვითარება.

II. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

2.1 ეკონომიკური რისკები

კომპანიის ფინანსური შედეგები დამოკიდებულია გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის: გაცვლითი კურსების ცვლილება, ინფლაცია და ბაზრის მოთხოვნის დინამიკა. მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება აღნიშნულ ფაქტორებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს ოპერაციული სტრატეგიის კორექტირებას.

2.2 საკანონმდებლო რისკები

ვებიზ ფლეი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოფს რეგულაციების სრულ დაცვას. კომპანია რეგულარულად აანალიზებს საკანონმდებლო გარემოს ცვლილებებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სამართლებრივი და საგადასახადო რისკები.

2.3 ოპერაციული რისკები

ოპერაციული რისკები მოიცავს პროექტების დროულად შესრულებას, ხარისხის უზრუნველყოფასა და კლიენტების კმაყოფილებას. აღნიშნული რისკების მართვა ხორციელდება შიდა კონტროლის მექანიზმებით, ხარისხის მართვის სტანდარტებითა და შესრულების რეგულარული მონიტორინგით.

2.4 საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ვებიზი ამცირებს აღნიშნულ რისკს სანდო პარტნიორების შერჩევით, მკაფიო ფინანსური პირობების განსაზღვრითა და მოთხოვნების აქტიური მონიტორინგით.

2.5 ლიკვიდობის რისკები

ლიკვიდობის რისკები უკავშირდება საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას მიმდინარე საოპერაციო ხარჯებისა და ვალდებულებების დასაფარად. კომპანია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ ანალიზს, რათა უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა და ოპერაციული უწყვეტობა.

2.6 საბაზრო რისკები

საბაზრო რისკები მოიცავს კონკურენციას აუტოსორსინგის სექტორში და კლიენტების მოთხოვნის ცვლილებებს. ვებიზი ახორციელებს ბაზრის მუდმივ ანალიზს და სთავაზობს მოქნილ თანამშრომლობის მოდელებს, რაც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხსა და კლიენტების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

დირექტორი: გიორგი წერეთელი

01 ოქტომბერი 2025 წ

